ბა“, საიდანაც ადვილად განვითარდებოდა ქართულ ნიადაგზე მნიშვნელობა
ლ ა მ ა ზ ი ს ა ვეფხისტყაოსნისეული და თანამედროვე გაგებით. „მაცდური,
მხიბლავი, მომაჯადოებელი“ > „ქექლუცი, ლამაზი“¹.

10. ლ ა ყ ფ თ ბ ა — „სიტყვის გაჭიანურება ვინმეს შესაქებად“ (ვ. ტყ.
ლექს., გვ. 366).

„დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე — სიხაფეთანი!
ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“
(ვ. ტყ., 1667.).

„რას ვაგრძელებდე, ლ ა ყ ა ფ ი გრძელი, ცუდი და მწარია“
(შპნმ, 218,2).

„შავნამეს ქართული ვერსიების“ ლექსიკონში ი. აბულაძე ამ სიტყვისა-
თვის ამოსავლად მიიჩნევს არაბ. قَبَ - سَ — ლ ა ყ ა ბ - ა ნ ლ ა ბ - (ვულგ.)

¹ შეადარეთ რუსული გამოთქმები: Очаровательный, чарующий და ჩარი — „ჯადო,
ხიბლი“.

„გრძელი, გაჭიანურებული წერილი, აქ გრძლად წარმოთქმულ სიტყვა ვისიმე საქებად ან საგმობად“ (იხ. შპნ. ლექს., 1, გვ. 811).

^၆ لَقْب — „مَهْرِسَاتْهَلْ، ْتَهْرِيْدَهَا، ْرِيْتُهَلْ.“

ჩვენ ვფიქრობთ, ამ სიტყვისათვის ამოსავალიდ არაბული ლَعَبْ ან ლَعَبْ

^၆ لَعَبْ — „تَاهِيْسَشْهَيْرَهَوْ، ْبَهْمَرَهَهَا، ْغَارَهَهَهَا، ْتَاهِيْشَهَهَا“. III თემა იმა-

ვე მნიშვნელობით. ^၆ الْعَابْ — „تَاهِيْشَهَهَا، ْغَارَهَهَهَا“ და სხვა. ვიღ. ა. ი. ვ. ი. გავერთე, თავი შევიქციე.

ახ. სპარსულში لقب-სა და და ნა-لც მსგავსი მნიშვნელობები აქვთ (იხ. მილერ, დასახ. ლექსიკ., გვ. 439).

საინტერესოა სიტყვა ლაყაფის საბასეული განმარტება: „ლاყაფი—ქართულად ცულმოუბარი; სპარსულად—მეორე სახელი“, როგორც ჩანს, საბასაც ამოსაულად მიაჩინია لقب „შეტსახელი; წოდება, ტიტული“. ყოველ შემთხვევაში „სიტყვის გაჭიანურება ან გაგრძელება ვისმეს შესაქებად ან საგმობად“ არ არის საყალდებულო მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის. იუსტ. აბულაძე, როგორც ჩანს, ამოდიოდა „შაჰნამეში“ ნახმარი ამ სიტყვის კონტექსტიდან „რას ვაგრძელებდე ლაყაფი გრძელი, ცუდი და მწარია“ (218²). მაგრამ ამ კონტექსტიაც ლაყაფი არ გულისხმობს უეჭველად გაჭიანურებასა და გაგრძელებას.

„ვეფხისტყაოსანშიც“: „ვპოვენ და ლექსად გარდავთქვი, ამითა ვიღაყფეთანი“ არ ნიშნავს „სიტყვა გავაგრძელე“.

რუსთველი, რომელმაც თქვა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგიო“, რატომ იტყოდა ლექსად გარდათქმის შესახებ „სიტყვა გავაგრძელე, გავაჭიანურეო“ (თუ ეს მისი სიტყვებია).

შესაძლოა აგრეთვე, რომ ქართულ ლაყაფი ში საქმე გვაქვს ორი არაბული სიტყვის კონტაქტიასთან, რომელთაც ერთნაირი ექვივალენტები მოგვცეს:

^၆ لَعَبْ და لقب ორივე გადმოვიდა, როგორც ლაყაფი.

შეადარეთ „სალაყბო“—ადგილის სახელი ძეველ თბილისში, სადაც თავს იყრიდნენ არა მარტო სასაუბროდ, არამედ გასართობად, თავშესაქცევად, საასპარეზოდ და სხვა.

11. მულარაბარად — საბას განმარტებით „ინდური მურასა, რომელ-საც გულქანდს უწოდებენ“ (მურასა. ე. ი. მოოჭვილი).

„ცოტასა იგი სახლი ქაფურისა იყო არა ერთობით შექმნილი, გინა რუკად შექმნილი, მულარაბარად თვალითა და მარგალიტითა შეკაზმული“ (ამირ. დარეჯ. 89²).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის მრ. რიცხვის ფორმა بِمَرْبَ—დან, რომელიც

ახ. სპარსულში წარმოდგენილია სახით დი ნიშნავს „მაღრიბელს, მაღრიბულს“. ისტ. „მაღრიბულ“ ოქროს მონეტა, მავრი, მავრიტანელი (იხ.

მილერ, დასახ. ლექსიკ., გვ. 514) ან არაბ. مَغْرِب.

მულარაბ-არ-ად ნიშნავს ალბათ „მაყრიტანული სტილით“, მარო-
კანული. მულარაბ-ურ-ად > მულარაბარად, ე. ი. მალრიბულად ან საუცხოოდ,
უცხოდ.

12. მაყარი — „ძმადი, სასიძოსთან ან სარძლოსთან მიმყოლი ქორ-
წილში“ (ვ. ტყ. ლექს., გვ. 367, საბა, 962).

„მეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვეს ვით მაყრები“ (ვ. ტყ., 431.).

„სამ დღეს იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით-მაყარი“
(ვ. ტყ., 1553.)

მაყ (ა) რება — მაყრად წაყვანა. შეტაფ. გამხიარულება.

„მათნი ყმანი აატირნა, მისნი ყმანი ამაყარნა“ (ვ. ტყ., 617.)

შეიძლება ეს იყოს სპარს. არაბ. مَقْرُون — „ახლობელი, შეულლებული“,
შეერთებული ძირიდან نَقَر — „შეკვრა შეერთება“. III თემა — نَقَر — „შეკვრა,
შეულლება“¹. შდრ. მაყრიონი.

13. მახალი — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში (იხ. გვ. 367) ეს სიტყ-
ვა განმარტებულია, როგორც „ტკბილი, სასმელი, შარბათი, ლვინო“.

„დასხდეს შეიქმნა პურობა გაამრავლებდეს მახალსა,

უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მზახალი მზახალსა,

მოილებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ-ახალსა“ (ვ. ტყ., 1012.).

საბასთან სიტყვა მახალი ზემოაღნიშნული მნიშვნელობით არა გვაქვს. ვერც არაბულსა და სპარსულ ლექსიკონში მოინახა მსგავსი რამ. მე ვფიქრობ,
შესაძლოა კონტექსტის მიხედვით აქ ვიგულისხმოთ არაბ. სპარს. مَخْلِي —
„ცარიელი, დაცლილი“.

„გაამრავლებდეს მახალსა“, ე. ი. გაამრავლებდნენ დაცლილ (ჭურჭელს).

შდრ. არაბ. خَلْو (خلو) — იყო ცარიელი, აუცილებელი, თავისუფალი, ვაკან-
ტური“. — خَلَى. — „დაცლა, გათავისუფლება“. ახ. სპარს. مَخْلَا گردن — „დაც-
ლა“ (იხ. Миллер, დასახ. ლექსიკონი, გვ. 475; Баранов დასახ. ლექსიკონი, გვ. 237).

ვ. ტყ. ლექსიკონის ავტორები ალბათ უკავშირებენ مَحَلِي - مَحَلِي подста-
щённый (изукашенный), ძირიდან حَلِي, حَلَى — „დატკბობა“.

14. მოშაითი, მუშაითი — „თოვზე მოსრიალე, ჯამბაზი“ (ვ. ტყ.
ლექს., გვ. 372).

„საბელზედ მოთამაშე“ (საბა).

„მგოსანი დი მოშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა“ (ვ. ტყ., 119.).

¹ Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 813. შესაძლებელია აგრეთვე ჩვენ აქ გვქონდეს არა-
ბული قَرَى ძირიდან („სტუმრის მიღება, გამასპინძლება“) ნაწარმოები ფორმა. შდრ.
مَحَلِي — بَعْضِ مَا رَأَيْتُ مَعْجَنْجَانَ، رَادُوشْنَى.

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუ შაითოდ მზრდიდან,
მასწავლეს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწვრთიდიან,
ასრუ გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან“

(ვ. ტყ., 1394₁).

„იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი აჯაბთა იქმოდეს, რომელ ეგეთნი
არვის უნახავს“ (ამირ. დარეჯ. 85₃₄).

„გაყვნა ორად მგოსანნი, მოშაითნი და მებუკე-მედაბდაბენი და ბახ-
ტნი“ (ამირ. დარეჯ., 123).

არაბული ^٣ مشبّدْ مَشْبَدْ — „ფოკუსების ჩვენება, ^٤ شَبَدْ شَبَدْ — „ფოკუ-
სების ჩვენება, შარლატანობა“, შდრ. აგრეთვე ^٥ ذَعَوْ شَعَوْ — „ფოკუსების ჩვენება,
^٦ عَنْجَلِيَّةَ عَنْجَلِيَّةَ — „ფოკუსნიკი, უნგლიორი“¹.

ქართ. მუშაითი მოდის, როგორც ჩანს, უშუალოდ არაბული ^٧ مُشَوَّذْ مُشَوَّذْ
ფორმიდან *maša'rid* > მუშავიდ — > მუშაიდ > მუშაით-ი.

ა. სპარსულ ლექსიკონებშიც ეს სიტყვა მოინახა არა ^٨ مُشَوَّذ -ის, არა-
მედ მშبید (*mašk'bed*)-ის სახით².

შდრ. კატაბა, სადაც არაბ. ა გადმოცემულია ფ-თი. სიტყვის ბოლოს
დაყრუვდა დ და გადავიდა თ-ში (ა > დ > თ). ეს სიტყვა სპარსულიდან რომ
ყოფილიყო ქართულში შემოსული, გვექნებოდა „მოშაბედი“ და არა „მუშაითი“.

15. მუშარადი — „სპილენძის ან რკინის თავის სარქმელი ომის დროს“. (ვ. ტყ. ლექს., გვ. 372).

„შუბი ესთხოვე, ხელი ჩავყავ მუშარადის დასარქმელად“

(ვ. ტყ., 445₁).

„ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკეირველიო,
ჯაჭვ-მუშარადი, ალმასი ხრმალი ბასრისა, მჭრელიო“

(ვ. ტყ., 1366₂).

„კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,

„ჯაჭვი, ხმალი, მუშარადი, საბარქული მათი გვანი“ (ვ. ტყ., 1369₃).

„რა ტარიელ ფრიდონ იკნა თქეა: ვნახეო, ვინცა მინა,
მუშარადი მოიხადა, გაიღიმა, გაიკინა“ (ვ. ტყ., 1380₁).

— „პირ-ბოზო, ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან?

მე ჩაბალახად გახმარებ, რაცა გიმუშარადიან“. (ვ. ტყ., 1605₄).

„ერთისა წლისა ბეგარ-ქმნილსა ჯერეთ სარტყელი არ შეექსნა და მუ-
შარადი არ მოექადა, რომელ კულა ციხისა საძნელოსა გზასა აწუივნეს“ (ვის.
რამ., 146₆).

¹ Баранов. Лексык.. გვ. 512.

² Миллер. Лексык.. გვ. 498.

„არვინ გაჰყვა ლაშქარს კაცი, მუზარადი თავს დაერქვა“
(შპნ., 97).

„როსტომ უკან მიეწივა აფრასიობს, გულად ზადსა,
შემოსტყორცნა საგდებელი, გარდააცვა მუზარად სა (შპნ. I, 2614).

„როსტომ უბრძანა ლაშქართა“: „უძრავად აქ იყვენითა.
თავს მუზარადი დაირქო, შუბი აიღო ქელითა (შპნ., 3164, II).

„ფალაური ტანს ჩაიცვა, გაგულოვნდა ლომივითა,
ქმალი წელთა შემოირტყა, მუზარადი ბერძულითა“
(შპნ., 3875, II).

„ვინგმ სისხლსა არ ვიძებნი, მუზარად სა არ მოვიკდი“
(შპნ., 3497, II).

არაბ. زر ز — მრ. რიცხვი დزز — „მუზარადი, ჯავშანი“¹. არაბ. muza-rad ამოსავალია ქართული მუზარადისათვის.

იუსტ. აბულაძის აზრით, „მუზარადი არის ძველი არაბ. სპარსული > زر ز
ანუ სპარსული-ქართული მუზარად — „თმის დასაფარავი“ (თავის სარქველი),
მისი თქმით ეს სიტყვა უნდა შემოჭრილიყო ქართულში საშ. სპარსულიდან,
რადგან მასში სამუალო სპარსულის კონსტრუქციაც კი შენახულია. მსაზღვ-
რელი „მუ“ ის — „თმა“, რომელიც წინ უძღვის საზღვრულს, გენეტივის მი-
მართებაში მასთან“ (შპნ. ქართ. ეკრს., II ლექს., გვ. 600).

უნდა შევნიშნოთ, რომ საშ. სპარსულისათვის უცნობია სიტყვა მუზარა-
დი, იქ გვაქვს zrēh, არაბული ნასესხები ფალაურიდან არის zrād (რომელიც
ახლოა არაბულ zarađ-თან), ჩრდილო-დასავლურ საშ. ირანულ დიალექტებში
შესაძლებელია აგრეთვე ფორმები zrāh > სომხ. zrahk' და zrād < ავ. zraðā.
მუზარადის თავკიდური მუ-არაბულიდან მოდის. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა-
ბულ პრეფიქსთან 'r, რომელიც მრავალთანხმოვნიანი ძირებიდან აწარმოებს
პურჭლის, იარალისა და ადგილის სახელებს ქართულის ტიპისა.

16. მულიმი — „სჯულის მოძღვარი, ექიმობისა და მისნობის მცოდნე“
(ვ. ტყ. ლექს., გვ. 372).

„სრული მუყრნი და მულიმი მე გარეშემო მცვიდიან“
(ვ. ტყ., 351).

არაბული معلم — „მასწავლებელი, მოძღვარი, ოსტატი, პატრონი“. ძი-

რიდან معلم — „ცოდნა, გაგება“ II თ. معلم — „სწავლება, მითითება, ნიშ-
ნება“ (Баранов, ლექსიკ., გვ. 685).

¹ Баранов, დასახ. ლექსიკ. გვ. 411.

ახ. სპარსული მულმ (moalem) — „მასწავლებელი, მოძღვარი“ ან არაბ. معلم — „მაცნე“, (IV თემაში اعلم ნიშნავს „ცნობებას“ და ორნეტიკურად უფრო ახლოს არის ქართ. მული მთან).

17. მუყრი — „მოლა“ (ვ. ტყ. ლექსიკონი, გვ. 372).

„სრულნი მუყრი და მულიმი მე გარე შემომცვიდიან; მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იყითხვიდიან“ (ვ. ტყ. 351.).

„მუყრი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა“ (ვ. ტყ. 349.).

საბას განმარტებით „მაჭმადიანთა მულა“ (ლექს. 427).

შეიძლება ჩვენ აქ გვქონდეს ამოსავალი სიტყვის სახით ახ. სპარსული-მურა — „გამცნობი, მაცნე, შეტყობინებული, განმსაზღვრელი, მეცნიერი“ (Muller, დასახ. ლექსიკ., გვ. 510). გამოთქმაში mo'aref. არაბული ძირიდან عَرْف — „ცოდნა, შეტყობა“, II თემა عَرْف — „ცნობება, შეტყობინება, უწყება,

ახსნა, მოთხრობა, გაცნობა, განსაზღვრა გამოცნობა“. عَرْف — „მისანი, მკითხავი, წინასწარმეტყველი“ (იხ. Baranov, დასახ. ლექსიკ., გვ. 651). ფონეტიკურად ცვლილებებიდან ქართულში აღსანიშნავია ع-ს > ყ-ში გადასვლა და სიტყვის ბოლოს ف > ვ-ს დაკარგვა. შესაძლებელია აგრეთვე ეს სიტყვა (მუყ-

რი) ნაწარმოებია ძირიდან عَرْف — „კითხვა“, IV თ. اقرا. مقری — „მკითხველი“.

18. მემაჯანი „ვეტენისტყაოსნის“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მომრევი“. კონტექსტის მიხედვით ჩვენ ვთიქრობთ ასეთი განმარტება არ არის სავალდებულო. ვ. ტყ.-ში ეს სიტყვა ორჯერ არის ნახმარი:

1. „ამის მეტსა ვერას გითხრობ მე სიტყვისა ამისთანასა:

ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა მემაჯანსა“ (ვ. ტყ., 261.).

2. „უთხარით ბრძანებს ტარიელ, მეფე ლალი და ჯანია

იგი ხელმწიფე მალალი, მებრძოლთა მემაჯანია“ (ვ. ტყ., 1603.).

პირველ შემთხვევაში მემაჯანი იხმარება ტანის ეპითეტად და სიტყვა მჭევრის სინონიმს წარმოადგენს. მეორე შემთხვევაშიც იგი იხმარება ლალისა და ჯანის გვერდით და შათი მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, სახელდობრ, „მებრძოლთა მემაჯანი“ უნდა ნიშნავდეს „ლალი, თავი ისუფლად მომჭევი, ვისაც ბრძოლა თამაშია, ხუმრობა და იაჩნია“. ამოსავლად, ჩვენის ფიქრით, უნდა ვიგულისხმოთ არაბული ზმნა

مَجْنَ—მასდ. مَجْنَونٌ—مجنون. მნიშვნელობით „ხუმრობა“, III თ. سილალე, ხუმრობა, თამაში“ და სხვ. მემაჯანი ნაწარმოებია ფორმიდან, რომელიც ქართულში მე-მაჯან-ს მოგვცემდა მე-პრეფიქსის დართვის საშუალებით¹.

¹ Baranov. დასახ. ლექსიკ., გვ. 949.

² მე- თავსართის დართვა წეიძლება გამოწვეულია იმითაც, რომ სიტყვა მაჯანი (არაბ. مَجْنَونٌ) უკვე გვქონდა ქართულში მნიშვნელობით — „უფასო, უსასყიდლო“ (მაგ. კვისრამიანში “გვხვდება”).

19. მუქასარი — „შარგალი ქალისა, საწმერთული, შეიდიში“, გვხდება „ვისრამიანში“ და შეესატყვისება სპარსული ორიგინალის შლიარ-ს (იხ. ვის. რამ. ლექს. მ. თოლუას და ა. გვახარიას რედაქციით. გვ. 743).

„თუმცა ადგილი დაბალი იყო, ფერჯნი ორივე იტკონნა, მუქასარი დახია“ ვის. რამ., 162₁₆).

თუ მუქასარი შართლაც „შარგალს, შეიდიშს“ ნიშნავს, ერთადერთი საშუალება მისი ეტიმოლოგიისა, არაბულის მეშვეობით არის შემდეგი არაბული

ძირი კს — ნიშნავს „გატეხას“, მეორე თემაში — „დამტკრევას, დამსხვრევას წვრილ ნაწილებად დაგლეჯას, დახევას“ და სხვ. ბარანოვის ლექსიკონში ნაჩვენებია, აგრეთვე, მნიშვნელობა — „ცვლა, გამოცვლა“ (მაგ., ფულისა).

თუ ამ მნიშვნელობიდან გამოვალთ, მაშინ ფორმა არაბ. მიმღეობისა რომელსაც ეყრდნობა ქართული მუქასარი, შესაძლოა ნიშნავს საცვალს, რომელიც ქართველმა მთარგმნელმა გამოიყენა სპარსულ ტექსტში ნახმარი შლია - ის გადმოსაცემად, რამდენადაც ქართულში შალვარი მამაკაცის შარგლის აღსანიშნავად იხმარებოდა?

ახ. სპარსულშიც ეს სიტყვა მკს (mokkassär) — „გატეხილს“ ნიშნავს (იხ. მიქერ, დასახ. ნაშრ., გვ. 523).

20. მუხაერი — „განცხრომა, ფუფუნება, გულისნება, ნებივრობა“ („ვისრამიანი“, ა. გვახარიას და მ. თოლუას გამოცემა, ლექსიკონი, გვ. 743). „ორივე მიჯნურნი ყმანი კელმწიფენი მუხაერსა შიგან იყვნიან“ (ვის. რამ., 114₁₆).

არაბ. خير, მრ. أَخْيَر — „კარგი, კეთილი, შესანიშნავა, უკეთესი, საუკეთესო, სიკეთე“ (შდრ. ქართ. „ხეირი, ხეირიანი“).

ამ სიტყვიდან მ პრეფიქსის საშუალებით ნაწარმოებია ფორმა — „არჩევის უფლების მქონე, თავისი ნების მქონე“ ³ (სასიკეთო, საუკეთესო, განცხრომა; ფუფუნება და სხვ.). შდრ. ქართ. ნუკევა — სპარსული სიტყვიდან

niku — „კეთილი, კარგი“. სპარსულში ჩვენ გვაქვს მხირ (moxayyär) — „თავისუფლად ამომჩერები, ნებიერი“. სიტყვა შემოსულია, როგორც ჩანს, სპარსული გზით ⁴. ის, ვისაც შეუძლია თავისუფლად, თავის ნებაზე აირჩიოს, „ნებიერი“. მუხაერსა შიგან ყოფნა, — „ნებივრობაში, განცხრომაში ყოფნა“.

¹ იხ. Zenker, ლექსიკ., გვ. 874, გ. წერეთელი, დასახ. ლექსიკ., გვ. 213: Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 881.

² არის მეორე შესაძლებლობაც, „ვისრამიანის“ ტექსტში თავდაპირველად გვქონდა „შალვარი მუქასარად დახია“, ე. ი. „წერილად დახია“. შემდგომშა გადამწერებმა კი მუქასარი გაიგეს როგორც შალვარის სინონიმი ან შალვარის სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა, შალვარი ამოიღეს და დასტოვეს მხოლოდ მუქასარი.

³ Zenker, დასახ. ლექსიკ., გვ. 829; Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 306.

⁴ Михеर, დასახ. ლექსიკ., გვ. 475.

21. ტრადიციალობა (ტრადიცია, სატრადო და სხვა).

„შენ გ ტრადიციალებენ მჭერეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან“
(ვ. ტყ. 1086₁).

„ვინცა გზას ნახნის უცხონი, ჰმსახურებდიან, ჰყმობდიან,
მოვიდოდიან საჭერეტლად, მას ზედა ს ტრადიციალობდიან“
(ვ. ტყ. 376₂).

„ქალი რა ნახეს, ს ტრადიციალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა“
(ვ. ტყ. 1334₁).

საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს ტრადიციალება (16.16 ეზეკია) და
მას განმარტავს, როგორც „დაქშირება ნებისა, საწადლისა“, ხოლო ტრადი-
ლი — „ტრადიალების მოქმედი“.

ჩვენის ფიქრით, ეს სიტყვა მომდინარეობს არაბული ზმნის ფორმიდან
ტრადიციალის „(თვალს) ახამხამებდა, უყურებდა, უცემეროდა“ ტრადიციალის „შეხედვა, ცეკვა,
თვალი“. შდრ. ამავე ძირიდან ნაწარმოები ტრადიციალი — „სიახლე; ახალი,
იშვიათი რამ, უცხო, საუცხოვო“, რომელიც ქართულ ტურფაშია დადას-
ტურებული¹. შდრ. — ქართული თვალი დადგი, ე. ი. მოეწონა.

ამ ზმნას ტრადიციალი X თემაში აქვს მნიშვნელობა; „ახლად, საინტერესოდ მიჩ-
ნევა“ > მოწონება, ტრადიციალი. ტრადიციალება. შდრ. ძვ. ქართ. „სათნო იყო“ —
შეიყვარა (ე. ი. ქარგად მიიჩნია).

22. ყოლბი — „ალყის შუაგული, გული“ (ვ. ტყ., გვ. 388).

„მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი პყვებოდა“

(ვ. ტყ., 987₁).

„მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა“

(ვ. ტყ., 980₁).

საბას განმარტებით ყოლბი — „ქაცნი გარშემორიგებულნი“ (საბა, 776)

არაბული ქალი — 1. გული, სული, გონება. 2. შუაგული, მარცვალი.
3. შუა-დადგილი, ცენტრი, ღერძი და სხვა (Б а р а н о в, დასახ. ლექსიკ.,
გვ. 848).

ახ. სპარსული — ქალ (γάλη) ქალ (γολη) „გული, შუაგული, ცენტ-
რი არმიისა“ (M и т т е р, დასახ. ლექსიკ., გვ. 384).

შემცელია სპარსული მეშვეობა (აღსანიშნავი $a > o$). „ვისრამიანში“ ეს
სიტყვა იხმარება დალალის, ნაწნავის, მნიშვნელობით:

„კოჭთამდის თმისა მისისა ყოლბი მიჯნურთა ტოილო იყო
და ფათერაქსა მისთვის არ ესუნა“ (ვის. რამ., 183₁₃).

შეიძლება აქ მეტაფორულად გვქონდეს ნახმარი „თმათა ჯარი“?
23. შარი — „აბრეშუმი, კეთილი ნარმა“ (საბა).

„ვისრამიანის“ ორიგინალში შეესატყვისება სიტყვა چა-ს „აბრეშუმის
ქსოვილის სახე“. „...მოედანსა შინა ღიღისა მთის ოდენი ცეცხლი დააგზე-

¹ ვ. წერეთელი, არაბ. ქართ. ლექსიკონი, გვ. 130.

ბინა, რომელ მისი სიტუაცია ცამდინ მისწუდებოდა და მისი ალი კეკლუცა დიაცესა ჰგუანდა, რომელ „შარისა პერანგითა ლამაზად იარებოდეს“ (ვის. რამ., 121^o).

„კილითა ვკალი და შარი კიდის-კიდე გამოიცნობის“

(ՅօՆ. ՀաՑ., 136₂₁).

— شعرات. مل، شعرة دشour. مل، "تمىء" —

¹ „διαφύσο“ (τιμήσεις) 1. διαφύση (волокно)¹. القطنـ، „волокно хлопка“, شعيرـة، „δι-

တော်, ပေါ်မြို့။”^၃. ပေးကျော်လှိုင် ဂွားချွား (sä'r) — “တမာ” ဖူး — ရှေ့ပါမ်းမြို့။

ზარი, როგორც ჩანს, ნიშნავს თმის ბეჭვივით წმინდა ძაფისაგან მოქსოვილ ქსოვილს (აბრეშუმისა ან ბამბისა).

24. შაშარი — „სისხლის გამოსაშევბია“ (საბა). ვისრამიანის ორიგანალში შაშარის შესატყვიისად გვაქვს — „ნეატარი“.

„მოაბალის გული ასრე ავსილ იყო ვისის სიყვარულითა, და

სა-შარ-ი ს-ა გან, სადაც ფუძე შარ-ი იგივეა, რაც არაბული შე — „ჩხვლეტა“, „სობა“, (etre pointée (lance))³. ე. ი. სა-შარ-ი = სა-სობ-ი, სა-ხვლეტ-ი, ეკალი, ნესტარი.

25. ხარაბათი — „ლოთი, მემთვრალე, სამიკიტნოების, სირაჯხანების ხშირი სტუმარი“.

„ვისრამიანის“ ორიგინალში შეესატყვისება — მისთან „საღვინე სირაჯ-ხანა“⁴.

„ურიანი მისნი არითნია, ხარაბათნი მისნი ნადიმნია“

, (306. 628. 105).

ხარაბათი არაბული წარ შოშობის სიტყვაა, რომელიც სპარსული გზით

მოდის ქართულში. შდრ. არაბ. خرابات — „ნანგრევები, ნაშთები“⁵. სპარსულში ამ არაბული სიტყვის მრავლობითის ფორმაშ ხრაბათ (x̣rabat) მიიღო მნიშვნელობა სამიკიტნოსი, სირაჯხანის (ადგილი სადაც იკრიბებიან ნაძირალები)= „მیستان ან მშრბ ხან“⁶, დებოშების ადგილი, ტავერნა“, ხოლო აქედან ნაწარმოები სადაურობის ი სუფიქსით ნიშნავს „ლოთს, მემ-თვრალეს, სირაჯხანების მუდმივ სტუმარს“.

¹ გ. წერეთ ელი, არაბ. ქართ. ლექსიკ., გვ. 110; Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 510-11.

² Миллер, Гаск. 1978., 83. 312; Zenker, Гаск. 1978., 83. 545.

² Belot, p. 893.

* იხ. ვისტამიანის ლექსიკონი (პ. გვარარიას და მ. თოლუას გამოცემა), გვ. 755.

⁵ Баранов, Гавасб. ლექსიկ., გვ. 404.

26. ხა სი ა თ ი — „ძირითადი თვისება, ზნე, ნიშანდობლივი თვისება, გული, სიცოცხლე, ხალისი“ (ვ. ტყ., ლექს., გვ. 395).

„ყმა სოფლისა ხა სი ა თ ი, ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი“ (ვ. ტყ., 693).

არაბული ხა სი ა თ ი — „ხა სი ა თ ი მრ. ხა სი ა თ ი. ხა სი ა თ ი ნიშანი, თვისება, თავისებურება“ (Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 280).

ახ. სპარსული ხა სი ა თ ი — „ხა სი ა თ ი მრ. ხა სი ა თ ი. ხა სი ა თ ი ნიშანი“ (Михлера, დასახ. ლექსიკ., გვ. 184).

შავრამ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოაღნიშნულ კონტექსტში სიტყვა ხასიათი სხვა შნიშვნელობით იხმარება — „გული, სიცოცხლე, ხალისი“, მისთვის ამოსავალია მეორე არაბული სიტყვა — „გრძნობა, განწყობილება, ხალისი, გუნება“ ძირითადი ან — „გრძნობა, განწყობილება, ხასიათ გუნება“ (Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 214). ახ. სპარსული ხა სი ა თ ი — „გრძნობები, განწყობილებანი“ (Михлера, დასახ. ლექსიკ., გვ. 176). შეადარეთ ახ. ქართ. გამოთქმა „ხასიათზე არა ვარ“ ან „ცუდ ხასიათზე ვარ“ და მისთანანი.

ორმა სხვადასხვა არაბულმა სიტყვამ ხა სი ა თ ი და გრძნობა და მისთანანი.

სპარსულში განიჩევა თავეიდური, რ და ხ რომელიც ქართულში ერთგვარიად გადმოვიდა. გრძელი რ და მოკლე ა, ი, პირველ მარცვალში აგრეთვე ა-თია გაღმოცემული, არ არის განსხვავება ქართულში (ისე როგორც სპარსულში) უ-სა და ც-ს შორის, ამიტომ ქართულში მივიღეთ ერთი სიტყვა, რასაც, აღბათ ხელს უწყობდა ერთგვარი სემანტიკური სიახლოვეც. თვისება, ზნე — გუნება, განწყობილება.

27. ხა ზი (ნახაზობა) ‘მოხაზულობა, სურათის დახატულობა’ (ვ. ტყ. ლექს.).

„რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!

ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა“

(ვ. ტყ., 1136).

შეიძლება ეს იყოს არაბული ხ ტ ხ — „ხა ზი, ზოლი, კვალი, ტრასა, რიგი, ხელი, დამწერლობა, კალიგრაფია“.

ხ ტ ხ (II) ხ ტ ხ — „ხა ზის გავლება, ხა ზია, დახაზვა, წერა, გეგმის დახაზვა“ (Баранов, დასახ. ლექსიკ., გვ. 284).

ახ. სპარსული ხ ტ ხ მრ. ხ ტ ხ (ხორუტ): 1. ხა ზი, შტრიხი, 2. ხელი, დამწერლობა, 3. ლოკუმენტი, გუჯარი, სიგველი და სხვა.

ასახსნელია, რატომ მოგვეცა არაბ. ხ ტ ხ სპარს. (თ) ქრთულში ჭ. ხ ტ ხ. ფორმიდან მიღებულია ხატი, ხატვა.

۶، ۷
— حز حروز ه —

„метка, зарубка“, ნიშნის დაღება, დაწირვა. ძირიღან حز (n) — делать надрез, зарубку — „დაწირვა, წირის, ხაზის გავლება“ (მცრელი იარაღით), წერა.

არაბული ც ხშირად გადმოდის ქართულში როგორც ხ. შდრ. ხასიათი და სხვა.

28. ჯალაბი — „წვეულნი, შოწვეული ხალხი, წვეულება, სახლეული, ჯალაბობა, მთელი სახლობა, ოჯახობა“.

„მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს ვითა შეილი ყველაკად გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი“ (ვ. ტყ., 101₃).

„გაყრა ბრძანეს, გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს (ვ. ტყ., 731₄).

„რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ვაზირისა ეუბნების“ (ვ. ტყ., 732₁).

„რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა.

გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა“

(ვ. ტყ., 348₄).

„სმა, პურობა, გახარება ქნეს, ჯალაბი გააღიდეს; ვითარიცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს“ (ვ. ტყ., 1640₁).

„შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია

მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია“ (ვ. ტყ., 1461₃).

„შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა არ ხალვათი,

იქით აქეთ დიდებულნი წარიგებით ათჯერ ათი (ვ. ტყ., 1011₁).

۶
اَرَادُبُولِي سِوْلُبُونِدَان — جَلْب، جَلْب — „مِنْهِيدَة، مِنَابُولُوبَهَا، شِمَانْتَانَا،

مِمْبَارِكِي“ (Баранов, დასახ. ლექსიქ., გვ. 163), გვ. — „شِمَانْتَانِيَّة، شِمَانْتَانِيَّه“ (شِمَانْتَانِيَّه) მონები. ახ. სპარსული چالب جلب (jalāb). — „მიახლოვება, დაახლოვება, მიზიდვა“ (Михлэр, დასახ. ლექსიქ., გვ. 151). شِمَانْتَانِيَّة، شِمَانْتَانِيَّه > მოწვეული, მოზიდული.

* * *

არაბული წარმოშობის ლექსიკური ელემენტები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხდებიან ქართული ენის ლექსიკურ შემადგელობაში, ფეხს იკიდებენ ქართულში დაახლოებით VIII საუკუნიდან; პირველად არაბული წარმოშობის საკუთარი სახელებისა და სამოხელეო ტერმინების სახით, რომელთაც უკვე IX საუკუნიდან დაწყებული მოსდევს რამდენიმე ზოგადი სახელი, დამოწმებული ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, როგორიც არის, მაგ., „ბალაგარიანი“, „მამათა სწავლანი“ და სხვა. ეს სიტყვები თავისი ფონეტიკური სახის მიხედვით ახლოს არიან არაბულ ფორმებთან (მუსმარი, სირაჯი, რუბე, მაშფალა, ბარჯი, სახიერი, ტრფიალი და სხვა). მათგან უმრავლესობა შემოსულია, როგორც ჩანს, უშუალოდ არაბულიდან, ნაწილი

კი ა. სპარსულის მეშვეობით, სადაც არაბული წარმოთქმა ზუსტად იყო და-
ცული და მათი შეგუება სპარსული ენის ფონეტიკასთან დასრულებული არ
იყო. XI საუკუნიდან იწყება. უკვე ახალი სპარსულის მეშვეობით, არაბული
სიტყვების მოძალება, განსაკუთრებით მრავლად კი ისინი კლასიკური საერო
ლიტერატურის ძეგლებში გვხვდებიან.

არაბული, სპარსული და ქართული ფორმების შეპირისპირებას და ფო-
ნეტიკური შესატყვისობის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიშება
არაბული სიტყვების შემოსელის გზების გასარკვევად, თუმცა ამ შესატყვისობათა
ზუსტი დადგენა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს სირთულე
შემდეგში მდგომარეობს: 1. არაბულის, სპარსულისა და ქართულის სახით
ჩვენ საქმე გვაქვს საში სხვადასხვა ენობრივი სისტემის წარმომადგენელთან,
რომელთა ფონეტიკური შედგენილობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისა-
გან. სპარსულსა და ქართულს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ სპეციფიკუ-
რი არაბული კონსონანტიზმის გაღმოსაცემად (განსაკუთრებით ემფატიკური
და ინტერდენატალი თანხმოვნებისათვის). სპარსული, რომლის კონსონანტუ-
რი სისტემა უფრო მარტივია, უფრო მარტივია წყვეტის საკითხს, გადმოს-
ცემს რა ერთი თანხმოვნით რამდენიმე არაბულ სხვადასხვა ხასიათის თანხმო-
ვანს, მაგალითად, არაბული ინტერდენტალი ტ. ჯ და ს წარმოთქმაში გად-
მოიცემა გ-თი, თანხმოვნები პ, ჟ, ჭ, ჰ გადმოიცემა გ-თი, ჸ და ც გად-
მოიცემულია ყრუ ტ-თი, და სხვა. ერთადერთი საშუალება, რომელიც სპარსულს
მოეპოვება, რათა თავიდან აიცდინოს დამთხვევა ისეთი არაბული სიტყვებისა,
რომლებიც ზემოთ აღნიშნული ბევრებით უპირისპირებიან ერთმანეთს, არის
გრაფიკა, სადაც ნასესხებ არაბულ სიტყვებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი
დაწერილობა. 2. ქართულს, რომელსაც უფრო მდიდარი კონსონანტური სის-
ტემა გააჩნია (ხშულთა სამეულებრივი სისტემა, მკვეთრი აფრიკატები და
სხვა), მეტი საშუალება აქვს გადმოსცეს არაბული სპეციფიკური თანხმოვნები,
თუმცა ქართული დამწერლობის სისტემა, რომელიც წარმოთქმის ზუსტი შე-
სატყვისია, ვერ დაგვექმნარება სპეციფიკური არაბული თანხმოვნების დაპირის-
პირებებშე დამყარებული არაბული სიტყვების დამთხვევათა თავიდან აცილებაში
ქართულში. ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ქართული სიტყვა ლა ყა-
ფი, სადაც ადგილი აქვს კონტამინაციას ორი არაბული სიტყვისას: ლب —
„თავიშექცევა, ხუმრობა გართობა“ და ლق — „მეტსახელი ზელწოდება“, „ცუდ-
შოუბარი“ (საბა). ხასიათი, სადაც შეირწყო ორი არაბული სიტყვა —
خَصِيَّات —

„ნიშანი, თეისება, თავისებურება“ და چَسِيَّات — „გრძნობა, განწყობილება, გუ-
ნება, ხალისი“ და სხვა. ხშირად ერთ არაბულ ბევრას ქართულში რამდენიმე
შესატყვისი მოეპოვება. მაგალითად, არაბულ ც გადმოიცემულია ან ნულით,
ან და ყ-თი. ც ს აგრეთვე ან ნულით, ან ხ-თი. ც ან ჭ-თი, ან ყ-თი და ხ-თი.
კ — კ-თი და ქ-თი, ჸ — ჸ-თი და თ-თი და სხვა. ხმოვნები ი-ი და ე-თი,
ა—ა და ე-თი და სხვ. ეს გარემოება ზოგჯერ საშუალებას იძლევა დავათარილოთ
ნასესხები ან გავარკვიოთ შემოსელის გზა. მაგალითად, სიტყვები, რომელთაც

უ-ის ნაცვლად ქართ. ყ აქვთ, ან ც-ის შესატყვისად ქართ. კ უფრო ადრინ-დელ ძეგლებში გვხვდებიან და უნდა ვითიქროთ, რომ ისინი გაცილებით ადრე არიან შეთვისებული და ნაწილობრივ მაინც უშუალოდ, ვიდრე ც დაკარგული ან ც-ს შესაბამისად ქართ. ყ- მქონე სიტყვები, რომლებიც უფრო გვიან-დელნი და სპარსულის მეშვეობით არიან შემოსულნი ქართულში. იგივე ითქ-მის ტ-ს მქონე სიტყვების მიმართაც, არაბ. ჲ-ს შესატყვისად თ-ს მქონე სი-ტყვებთან მიმართებით, ისე, როგორც არაბ. ი-ს ნაცვლად ე და ს-ს ნაცვლად— თ მხოლოდ სპარსული გზით შემოსულ შედარებით გვიანდელ სიტყვებში შეიძლება გვეონდეს. ასეთი ხასიათის ფონეტიკური ცვლილებები უნდა გავარჩიოთ ქართულ ნიადაგზე განვითარებული ფონეტიკური ცვლილებებისაგან (ასიმილაცია, დისი-მილაცია, სიტყვის ბოლოს მეღერთა დაყრუება, ბევრათ შენაცვლება. ამოვარდ-ნა და სხვა), რომელსაც ადგილი აქვს არაბული წარმოშობის სიტყვებშიც, რამ-დენადაც ისინი უკვე ქართული ენის განვითარების კანონებს ემორჩილებიან.

იმის გამო, რომ არაბულმა სიტყვებმა გზა გაიკაფეს ქართულში იმ ღროს, როდესაც ქართული ლიტერატურული ენა უკვე ჩამოყალიბებული და განვი-თარების მაღალ საფეხურზე მდგომი იყო, მათ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სიმრავლის მიუხედავად ვერ მოახერხეს ისე „გაქართულება“, რომ ძნელი იყოს მათში ნასესხები სიტყვების ამოცნობა, როგორც ეს ირანული ენებიდან ძალიან ძველი ნასესხებების შემთხვევაში გვაქვს. არაბულ სიტყვათა ფონეტიკური იერი და სტრუქტურა ადგილად გვაგრძნობინებს თავის უცხოურობას, მიუხე-დავად გავრცელებულობისა და მათი გამოყენებისა ყოველდღიური და აუცი-ლებელი ხმარების ცნებათა აღსანიშნავად.

ქართულში შეთვისებულ არაბულ სიტყვებში მეტყველების ნაწილებს შო-

რის უმეტესობას შეადგენენ მიმღეობისა და მასდარის ფორმები და მ პრე-ფიქსით (რომელიც მრავალთანანგონიანი ძირებიდან ადგილის, ჭურჭლისა და

იარაღის სახელებს აწარმოებს) დაწყებული სიტყვები ტიპისა, ამით აიხსნება განსაკუთრებული სიმრავლე მ-ზე დაწყებული არაბული სიტყვებისა ქართულში (მუხარადი, მუფარახი, მუჯამარი და სხვა). არის შემთ-ხვევები ზმნური ფუძეების სესხებისაც (მაგ. ტრფიალება).

სპარსული გზით შემოსული სიტყვების გამოვლინებაში, ფონეტიკური ფაქ-ტორების გარდა, გვეხმარება მორთოლოგიური ელემენტები, რომლებიც ახ-ლავს ხოლმე არაბული წარმოშობის სიტყვებს სპარსულში (სადაურობის ალ-მიზნელი ი, სუფიქსი, კნინობითის მაწარმოებელი ჯ, ე. წ. არაბულ-სპარ-სული ჰიბრიდული სიტყვები და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნიდან დაწყებული არაბული სიტყვე-ბის შემოსასვლელად სპარსული ძირითადი გზაა, არ შეიძლება დაბეჯითებით იმის თქმა, რომ XI საუკუნის შემდგომ არცერთი არაბული სიტყვა აღარ შე-მოდის ქართულში უშუალოდ. გარკვეული რაოდენობა არაბული სიტყვებისა, დადასტურებული „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანში“ და კლასიკური საერო-ლიტერატურის სხვა ძეგლებში, თავისი ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით უფრო ახლოს დგას ამოსავალ არაბულ ფორმებთან, ვიდრე სპარსულ ნასეს-ხებებთან. უნდა ვითიქროთ, რომ განათლებული ქართველი მწერლები არაბულ

ენას დაუფლებული იყვნენ სპარსელებზე არა ნაკლებად და არაბულ ლიტერატურას ორიგინალში კითხულობდნენ (რუსთველი, მეხოტბეები, ვისრამიანის მთარგმნელი და სხვებიც). ამის ერთერთი საბუთია ის გარემოებაც, რომ როგორც ქართული „ვისრამიანის“ სპარსულ ორიგინალთან შეპირისპირებისას ირკვევა, ქართველი მთარგმნელი ორიგინალის ზოგ სპარსულ ან არაბულ სიტყვას ცვლის ისეთი ქართულში დამკვიდრებული არაბული სიტყვით, რომელიც სპარსულში ან არ გვხვდება, ან იქ სხვა ფორმით არის წარმოდგენილი (ზღრ. შაშარი, ხარაბათი, მუხაერი, ასაბადი და სხვა). არაბული წარმოშობის ლექსიკის შესწავლას ქართულში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენის ისტორიისა და ლექსიკოლოგიისათვის; ქართულში დადასტურებულ არაბულს და ე. წ. არაბულ-სპარსულ სიტყვებს შეუძლიათ გარკვეული შუქი მოპონონ არაბული და განსაკუთრებით სპარსული ისტორიული ფონეტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხებისაც².

ხოგადი ენათმეცნიერების
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20/IX—1963 წ.)

М. АНДРОНИКАШВИЛИ

АРАБСКИЕ СЛОВА, ПРОНИКШИЕ В ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК ЧЕРЕЗ ПЕРСИДСКИЙ

Резюме

1. Арабские лексические элементы начинают проникать в грузинский язык примерно с VIII в. н. э.; с XI в. число усвоенных грузинским языком арабских слов возрастает, но заимствование осуществляется, главным образом, через посредство персидского языка.

Для выяснения пути проникновения арабских слов в грузинский язык большое значение имеет сопоставление арабских, персидских и грузинских форм заимствованного слова и установление точных фонетических соответствий.

¹ ინ. „ვისრამიანი“, ა. გვარაიას და მ. თოლუას გამოცემა, ლექსიკონი.

² ჩვენი სტატია დასაბუქდად გადაცემული იყო 1963 წელს, დაწერილი კი გაცილებით ადრე. ეს კრებული კი დაგვიანებით გამოდის. ამის გამო ჩვენ ვერ გამოიყენეთ გერმანელი მეცნიერის Heinz Faehnrich-ის საცნობელოს *Arabische Lehnwörter in der georgischen Sprache*, გამოცემებული ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (Revue de kartvélologie), vol. XVII—XVIII, № 45—46, Paris, 1964. აღნიშნული ნაშრომი ეხება ქართულში არაბულიდან ნასესხებ სიტყვებს, ძირითად შასლად გამოყენებულია „ქართულ განმარტებით ლექსიკონში“ და რ. მეკელაინის „ქართულ-გერმანული ლექსიკონში“ მითითებული არაბული სიტყვები და წარმოდგენილია ფონეტიკური ნარკევი არაბული ბეგრების ქართულში გადმოცემის შესახებ, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში იმავე საკითხებზეა საუბარი, რაზედაც ჩვენს შრომაში. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მწუხარება გამოვთქვათ იმის გამო, რომ აღნიშნული ნიშრომი ვერ გავითვალისწინეთ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

2. Языки грузинский и персидский, обладая различными фонетическими системами, имеют различные возможности для передачи специфических арабских звуков (эмфатические и интередентальные согласные и т. д.). Персидский язык, имея более простую систему консонантов, решает вопрос более просто, передавая одной согласной несколько арабских согласных. Например, арабские ث، سـ в персидском произношении не отличаются друг от друга, таким же образом арабские ذ، زـ и ظـ передаются одним звуком (z), нет разницы и в произношении شـ и طـ. Но зато персидский язык, сохранив написание заимствованных арабских слов, имеет возможность графически отличить эти звуки друг от друга и избежать омофонии.

Грузинский язык, обладая более богатой и сложной системой консонантов, имеет лучшие возможности для передачи арабских звуков, хотя грузинская система письма, точно соответствующая произношению, не в состоянии избежать совпадения арабских слов, противостоящих друг другу специфическими арабскими согласными. Примером этого могут служить такие грузинские слова, как ჭაფუ-ი, ჭატბ-ო, которые являются контаминацией двух арабских слов لَبْ و قَبْ, так же как слово ხასიათი, в котором слились арабские خَاصِيَّات و حَسَابٌ و другие.

3. Часто один арабский звук имеет в грузинском несколько соответствий, например арабский عـ('') передается или нулем или через грузинский უ, арабский حـ (h) или нулем или через грузинский ბ, арабское كـ через ճ и ڏـ, طـ через Փ и ڦـ и т. д. Это обстоятельство, в ряде случаев, дает возможность датировать заимствование или выяснить путь проникновения арабского слова в грузинский язык. Например, слова, имеющие вместо арабского ڦـ грузинский ճ или вместо арабского ڻـ грузинский უ, встречаются в более ранних памятниках и нужно думать, что они проникли в грузинский язык раньше слов, имеющих нуль вместо عـ и ڻـ вместо ڦـ, притом в большинстве случаев непосредственно из арабского. То же самое можно сказать о словах, имеющих ڦـ вместо арабского طـ по отношению к словам, где طـ передается через грузинский Փ, что характерно для поздних заимствований через персидский язык.

4. Арабские слова, засвидетельствованные в грузинском, легко могут быть опознаны по своему фонетическому облику. Они, несмотря на многочисленность, не смогли приспособиться к грузинскому так, как самые древние заимствования из иранского, в которых трудно узнать заимствованные слова. Это объясняется тем, что арабские слова проникли в грузинский язык, когда древнегрузинский литературный язык был уже сформирован и стоял на высокой ступени развития.